ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №8

1 მარტი, 2018

თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
15:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშვებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა (12-0318054161-03, 23.02.2018).

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მომხსენებელი:

- **მამუკა მუმლაძე** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი.

მ.მუმლაძე: - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თანხმობა უნდა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან.

ხელშეკრულების თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, გრანტის სახით გამოყოფს 490 000 ევროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული

ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად. აღნიშნული საგრანტო ხელშეკრულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია იღებს ვალდებულებას პროექტის განსახორციელებლად დედაქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოს 300 000 ევრო. შესაბამისად, ჯამში პროექტის ღირებულება შეადგენს 790 000 ევროს.

მარტივად რომ ვთქვათ, ეს კვლევა დაგვეხმარება განვსაზღვროთ რამდენი ავტობუსი და მიკროავტობუსი არის საჭირო ქალაქში მოძრაობის მოსაწესრიგებლად. 14 თვიანი შესრულების ვადაა განსაზღვრული, მაგრამ უკვე 7 თვეში ჩვენ გვექნება ამ კვლევის გარკვეული შედეგი.

შ.ოგბაიძე: კვლევის შედეგები გათვალისწინებული უნდა იქნეს დედაქალაქის მიწათასარგებლობის გენერალურ გეგმაში. ის ხარვეზები, რომლებიც არსებობს გენ.გეგმაში ტრანსპორტის მიმართულებით აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას.

თ.ისაკაძე: მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი პროექტის შედეგად, განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია და ასევე მოხდება ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შემუშავება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშვებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტზე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე **თედო ისაკაძე**